თამაშობდა თუ არა გუნდი?

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 14 ივლისი. მზიანი ამინდი. 30 გრადუსი. 55 000 მაყურებელი

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 4:0 (1:0).

გოლები: ბიბა (14), ბიშოვეცი (60), მედვიდი (85), მუნტიანი (88-პენალტი)

კიევი: რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, კრულიკოვსკი, ლევჩენკო, ტურიანჩიკი, მედვიდი, ბიშევეცი, მუნტიანი, ბიბა, ხმელნიცკი.

თბილისი: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია (მაისურაძე —24), იამანიძე, მესხი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი), გვერდითი მსაჯები კ. სმირნოვი და კონოვალოვი.

დუბლიორები – 2:0 კიეველთა სასარგებლოდ.

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილ ტურში 2 ცენტრალური მატჩი იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას: “დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) და “ტორპედო” (მოსკოვი) – “სპარტაკი” (მოსკოვი). ცენტრალურმა ტელევიზიამ არჩევანი გააკეთა ამ ორ თამაშს შორის და როგორც უფრო საინტერესოს და მნიშვნელოვანს, უპირატესობა მიანიჭა დინამოელთა მატჩს კიევში. უკრაინის დედაქალაქ კიევიდან პირველი პროგრამით გადაცემულ იქნა შეხვედრის მთლიანი – ორივე ტაიმი, მაგრამ მილიონობით ტელემაყურებლებმა საინტერესო მატჩი ვერ ნახეს. ვერ ნახეს მხოლოდ იმიტომ, რომ კიეველებს ამ დღეს არა ჰყავდათ ნამდვილი, ღირსეული მეტოქე, მებრძოლი მოწინააღმდეგე, რომელთან ბრძოლაში შეიძლებოდა მაღალი კლასის ჩვენება და ტელეეკრანებთან მსხდომი გულშემატკივრების დაინტერესება.

თბილისის “დინამოს” ეს მატჩი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. გუნდი თამაშობდა უხეში შეცდომებით, ყოველგვარი მონდომების გარეშე, აბსოლუტური ინერტულობით. არც ერთ მოთამაშეს არ გამოუჩენია თუნდაც ცდა, ებრძოლა კოლექტივის პრესტიჟისთვის. ზოგიერთი მათგანის უმოქმედობა თითქმის დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა. ცალკეულ ფეხბურთელთა შეცდომების და უმწეობის აღწერას არ შევუდგებით მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ყველასათვის ცხადი იყო ტელეეკრანებზე. ეს მატჩი კიევში – ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია ჩვენი გუნდის ისტორიაში.

პირველ ტაიმში, როცა ბიბამ საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, მინდორზე ასე თუ ისე წარმოებდა ბრძოლა, შესვენების შემდეგ კი ყველაფერი ლი-დერის ხელთ იყო. მას სურვილისამებრ მიჰყავდა თამაში. მეორე გოლი გაიტანა ბიშევეცმა. მესამე – მედვიდმა, მეოთხე – მუნტიანმა (11-მეტრიანი).

“ლელო”, 16 ივლისი, 1966 წ.